

**საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება N 184
1995 წლის 9 ნოემბერი ქ.თბილისი**

**თურქმენეთის რესპუბლიკაში ბუნებრივი აირის საფასურის
სანაცვლოდ აფხაზეთის ინვალიდთა და ლტოლვილთა
დახმარების ასოციაციის "დაბრუნების" მიერ გადატვირთული
პროდუქციის ანაზღაურებისა და
თურქმენეთიდან ბუნებრივი აირის მოწოდების შესახებ**

აფხაზეთის ინვალიდთა და ლტოლვილთა დახმარების ასოციაცია "დაბრუნებას" თურქმენეთიდან მიღებული ბუნებრივი აირის საფასურის დასაფარავად, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, ხელშეკრულების გაუფორმებლად ჩაბარებული აქვს 702 ტონა ჩაი, რომლის საკლირინგო ღირებულება, "საქგაზის" დეპარტამენტის მონაცემებით, შეადგენს 1.404 ათას აშშ დოლარს. იმის გათვალისწინებით, რომ "საქგაზის" დეპარტამენტის ცნობით, აღნიშნული თანხით შემცირდა საქართველოს 1995 წლის დავალიანება თურქმენეთის მიმართ, ხოლო ასოციაცია ემსახურება აფხაზეთის ინვალიდთა და ლტოლვილთა სოციალური დაცვის პრობლემების გადაწყვეტას:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ასოციაცია "დაბრუნების" მიერ თურქმენეთიდან მიღებული ბუნებრივი აირის საფასურის დასაფარავად გადატვირთული ჩაის ღირებულების ანაზღაურების მიზნით გამოძებნოს შესაბამისი სახსრები.

2. "საქართველოს რესპუბლიკის ენერგეტიკული კომპლექსის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 4 ოქტომბრის N 396 ბრძანებულებით შექმნილმა სამთავრობო კომისიამ (თ. ბასილია):

- კომისიაში შემოსულ სხვა წინადადებებთან ერთად განიხილოს ასოციაცია "დაბრუნების" წინადადებები თურქმენეთის რესპუბლიკიდან ბუნებრივი აირის მოწოდების თაობაზე;

- საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და "საქგაზის" დეპარტამენტთან ერთად შეისწავლოს მოხმარებული აირის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფო დავალიანების დასაფარავად რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ თურქმენეთის რესპუბლიკაში გადატვირთული პროდუქციისა და შესრულებული სამუშაოების მდგომარეობა, როგორ აისახება ეს პროცესი სახელმწიფოს შიდა ვალის ზრდასა და საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის შემცირებაზე და წარმოადგინოს შესაბამისი წინადადება.

ე. შვეარდნაძე